საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-600

25/07/2018

ქ. თბილისი

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „იბერკომპანიზე“ გადაცემის შესახებ

2018 წლის 12 ივლისს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“ და შპს „იბერკომპანის“ დირექტორებმა. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „იბერკომპანიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“ ნავთოპროდუქტების საცავზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №13; 22.02.2008; თბილისი, ქიზიყის ქ. №21) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-478; 20.06.2018.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“ ნავთობპროდუქტების საცავზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „იბერკომპანის“;
2. შპს „იბერკომპანიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-478 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. შპს „იბერკომპანი“ ვალდებულია უზრუნველყოს ყველა პირობის და ვალდებულების შესრულება, რაც გამომდინარეობს აღნიშნული საქმიანობიდან;

4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებასა“ და შპს „იბერკომპანის“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებასა“ და შპს „იბერკომპანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი